



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

17 – 18 თებერვალი, 2021 წელი.
1.03.2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; 11/11/2011 N276

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გორდეზიანი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია
---	--------------

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფუნქციონირებს 1992 წლიდან. 2014 წლიდან კი აღნიშნული პროგრამა ხოციელდება უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე. საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგებთან.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები, სულ 162 კრედიტის მოცულობით, გაერთიანებულია მოდულებში დარგების მიხედვით.
2. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტები, სულ 43 კრედიტის მოცულობით, გაერთიანებულია მოდულებში დარგების მიხედვით.
3. თავისუფალი კომპონენტები, სულ 35 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

▪

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 – 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმა zoom - ის მეშვეობით. ექსპერტები შეხვდნენ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვიდეოზარის მეშვეობით დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2 პუნქტები შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან 2.1 შეესაბამება სტანდარტებს; 2.2 მეტწილად შეესაბამება; 2.3 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს; 2.4 მეტწილად შეესაბამება; 2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან 3.1 პუნქტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან, 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი პასუხობს მოთხოვნებს, კერძოდ, 5.1; 5.2 და 5.3 შეესაბამება სტანდარტებს.

▪ რეკომენდაციები

- დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში.
 - პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე.
 - საგნები: „კრიმინოლოგია“, „კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და „გამომიების საფუძვლები“ სავალდებულო ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ნაწილში.
 - პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში: „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება.
 - „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან.
 - საგანში „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელი განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.
 - „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება.
 - საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას.
 - საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა.
 - „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსი გამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად.
 - მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდოს პრაქტიკის გასავლელად მისაღების სტუდენტების რაოდენობა.
 - სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფრო მეტი, სხვადასხვა საფეხურის (A1; A2; B1; B2) უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რათა მარტივად შეძლოს პროფესიული უცხო ენის შესწავლა.
 - რეპეტიტორიუმების მოდულის საგნების (საჯარო, ჯერძო და სისხლის სამართალი) კრედიტების მოცულობა შემცირდეს 7 კრედიტიდან 5 კრედიტამდე.

- პროგრამას არჩევით კომპონენტად უნდა დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი და ასევე აკადემიური კვლევის კომპონენტი.
- სასურველი იქნება, თუ საგანს - „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, შეეცვლება სახელწოდება, ან პროგრამას დაემატება სავალდებულო საგნის სტატუსით „აკადემიური წერა იურისტებისათვის“.
- იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებელი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით.
- სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;
- უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების, აგრეთვე აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: ა) მოამზადოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეროვნული სამართლის სისტემის პრინციპების/თავისებურებების ფართო და სამართლის ცალკეული დარგების სიღრმისეული ცოდნა, ჩამოუყალიბოს მათ თანამედროვე სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების უნარი;

ბ) მისცეს სტუდენტებს ცოდნა სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, მეთოდებისა და საერთაშორისო/ეროვნული სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური სამართლებრივი/ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს როგორც იურისტად მუშაობის დასაწყებად საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანიზაციებში, საჯარო ან/და კერძო სექტორში, ისე ადვოკატის, ნოტარიუსისა და პროკურორის პროფესიაში შესვლისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) განახორციელოს საგანმანათლებლო სტრატეგია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის კონიუნქტურის

გათვალისწინებით, რისთვისაც უზრუნველყოს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისათვის საჭირო პირობების შექმნა - უცხო ენების დიფერენცირებულ სწავლება და საერთაშორისო პარტნიორული თანამშრომლობის გაფართოება;

დ) შეუქმნას სტუდენტებს საკმარისი ინტელექტუალური რესურსი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის, ლიბერალური და აკადემიური ღირებულებების ფორმირებისათვის;

ე) განუვითაროს სტუდენტებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარი - ჩამოუყალიბოს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციების ისეთი სისტემა, რომლითაც შეძლებენ, დამოუკიდებელ სწავლას პროფესიული განვითარებისათვის, საკონკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილებას შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებად.

უსდ-ის მისიაა სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებითა და სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული საქმიანობით კონკურენტუნარიან სპეციალისტთა თაობების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე, აიღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უსდ-ის მისიასა და მიზნებთან.

პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციურ და ღირებულებით ნაწილში. კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან, საგნების სპეციფიკა და მათში გაწერილი მიზნები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია სამართლის დარგობრივი მახასიათებლებთან.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის შრომით ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასებისა და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის მიერ განხორციელებულია შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლების და კვლევების გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა უცხოელი და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური

<p>პერსონალის ჩართულობით. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში სექმნილია საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი.</p> <p>სამართლის საბაკალავრო პროგრამა არის საჯარო, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ბმაში; • უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://gruni.edu.ge/
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს როგორც შესაბამისი თემატიკა და სახელმძღვანელოები, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსი, შესაბამისი დარგობრივი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლების/სწავლის მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა.

პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას და რომელიც გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. სამართლის სკოლაში ფუნქციონირებს პროგრამის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი ბათუმის კამპუსში დასაქმებული პერსონალის ჩათვლით, სტუდენტები, ბათუმის კამპუსის სტუდენტების ჩათვლით, რომელთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს კომიტეტის წევრ თანამშრომელთა არანაკლებ 20 პროცენტს, მარკეტინგის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები და ა.შ. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩაბმული ყველა პირისთვის ცნობილია სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები, შეფასების მეთოდები და ფორმები, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ასევე პროგრამის შიდა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს როდის, რა მეთოდით, პროგრამის რომელი კომპონენტის, რომელ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმად გამოყენებულია პირდაპირი (ტესტები, ესეები, პრეზენტაციები, ნაშრომები, პროექტები, დამოუკიდებელი წერიტი დავალებები, პრაქტიკის/სტაჟირების შეფასება და ა.შ.) და

არაპირდაპირი მეთოდი (რაოდენობრივი და თვისობრივი ინსტრუმენტების მეშვეობით დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა თუ პერსონალის გამოკითხვა). სწავლის შედეგების მონიტორინგის და შეფასების ვადაა 3 წელი. მონიტორინგის ციკლის ფარგლებში ხდება პროგრამის ყოველწლიური შეფასება, ხოლო ციკლის დასრულების შემდეგ, ფასდება პროგრამის ეფექტიანობის ხარისხი ყოველწლიური შეფასების საშუალო მაჩვენებლით.

სწავლის შედეგების შეფასების, ასევე დარგობრივი მახასიათებლების ცვლილების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამამ განიცადა ცვლილებები. დაემატა სავალდებულო და არჩევითი მოდულები როგორც საჯარო, ასევე კერძო მიმართულებით. თავისუფალი კომპონენტი არსებობს 35 კრედიტის სახით (პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით). სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დისციპლინები უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საფეხურის ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდან. პროგრამის თითოეულ მოდულს დაემატა სავალდებულო სასწავლო დისციპლინა "პრაქტიკული კურსი".

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი განიხილება პროგრამის კომიტეტის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის კორექტირებას წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე.

პროგრამაში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან, ასევე სასწავლო საგნების შინაარსიდან, სილაბუსებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ასევე შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.


პროგრამის მიზნები ასახულია პროგრამაში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების გეგმა;
- კურიკულუმის რუქა;
 - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <http://gruni.edu.ge/>.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას.</p> <p>თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.</p> <p>დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრავს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, კერძოდ, პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ სავალდებულო პროცედურების დაცვით. აღნიშნული წესი სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში.</p> <p>ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი შესაძლებლობას უშვებს შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.</p> <p>სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> o სამართლის საბაკალავრო პროგრამა; o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; o უნივერსიტეტის ვებგვერდი. o თვითშეფასების დოკუმენტი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამა შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

საბაკალავრო პროგრამა გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. წელიწადის განმავლობაში სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს, მაგრამ სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის

დაგროვებაც.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები, სულ 162 კრედიტის მოცულობით, გაერთიანებულია მოდულებში დარგების მიხედვით.
2. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტები, სულ 43 კრედიტის მოცულობით, გაერთიანებულია მოდულებში დარგების მიხედვით.
3. თავისუფალი კომპონენტები, სულ 35 კრედიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა - სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. მათი გამოყენებით კონკრეტული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება სამუშაო პროცესის წარმართვა. პროგრამა და შესაბამისად კონკრეტული საგნის სილაბუსები ითვალისწინებს შემდეგ სწავლა - სწვლების მეთოდებს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე და სხვა. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროფესორი შესაძლოა იყენებდეს პროგრამით განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე.

პროგრამა უცხო ენის კომპონენტს ითვალისწინებს თავისუფალი კრედიტების ნაწილში, სადაც განსაზღვრულია: უცხო ენა I (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) და უცხო ენა II (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). ასევე პროგრამაში მითითებულია, რომ თავისუფალი კომპონენტის ნაწილში, როგორც არჩევითი დისციპლინების მოდულში გათვალისწინებული სამართლის პროფესიული უცხო ენა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმა გარემოებას, რომ მნიშვნელოვანია პროგრამა ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ ყველა სტუდენტს სავალდებულოდ მოუწიოს დარგობრივი უცხო ენის შესწავლა, უფრო მეტიც, სასურველი იქნება თუ დარგობრივი უცხო ენის შესწავლა მოხდება ორი სემესტრის განმავლობაში, როგორც სავალდებულო კომპონენტი. რაც შეეხება უცხო ენის ზოგად კურსს, ის უნდა დარჩეს თავისუფალი კომპონენტის სტატუსით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტი რომელიც მაგალითად არ ფლობს ინგლისურ ენას და სურს ამ მიმართულებით აიმაღლოს ცოდნა და დაძლიოს პროფესიული ინგლისურის კურსი, პროგრამაში წარმოდგენილი ორი თავისუფალ კრედიტად გათვალისწინებული - უცხო ენა I (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) და უცხო ენა II (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) არ იქნება საკმარისი.

პროგრამა თავისუფალი კრედიტების კუთხით ითვალისწინებს 35 კრედიტს, რაც ძალიან ბევრია, რადგან სამართალი რეგულირებადი მიმართულებაა და მნიშვნელოვანია წარმოდგენილმა პროგრამამ სტუდენტს მისცეს ყველანაირი შესაძლებლობა

კონკურენტუნარიანი იყოს დასაქმების ბაზარზე, საჭიროა უნივერსიტეტმა აქცენტი გააკეთოს დარგის საგნებზე, ამიტომ სასურველია თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ჩამოვიდეს მაქსიმუმ 25 კრედიტამდე.

პროგრამა ითვალისწინებს რეპეტიტორიუმების მოდულს, კერძოდ სამი მიმართულებით (საჯარო, კერძო და სისხლის სამართალი), 7 კრედიტის მოცულობით. ამ საკითხთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ რეპეტიტორიუმი თავისი არსით წარმოადგენს გაღრმავებას კონკრეტული მიმართულებით, ამიტომ ის აუცილებლად არჩევით მოდულად უნდა იყოს პროგრამაში გათვალისწინებული, ასევე დასაძლევია მასალის მოცულობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება თუ კრედიტების რაოდენობა შემცირდება 7 დან 5 მდე.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სავალდებულო კომპონენტის ნაწილში შემდეგ საგნებს: „კრიმინოლოგია“, „კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და „გამოძიების საფუძვლები“ ამ საგნების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, უმჯობესია ამ საგნებს მიენიჭოთ არჩევითი საგნის სტატუსი.

პროგრამაში სავალდებულო საგნად გათვალისწინებულია საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი. სტუდენტმა გარდა საქართველოს კონსტიტუციური რეალობისა, ასევე უნდა იცოდეს საკონსტიტუციო სამართლის ზოგადი პრინციპები. იმის დაშვებითაც კი, რომ ლექტორი გარდა საქართველოს საკონსტიტუციო სამართლისა, სტუდენტებს ესაუბრება ზოგად პრინციპებზეც, მაინც საჭიროა პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი სკონსტიტუციო სამართალში, რომელიც იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის პრერეკვიზიტი.

პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - 8 კრედიტი; ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს მოცემულობა მისასაღმებელია, რადგან თანამედროვე სწავლება ითვალისწინებს არა მარტო თეორიული ცოდნის მიღებას, არამედ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების აუცილებლობასაც.

საბაკალავრო პროგრამა თავისუფალი კომპონენტის სახით ითვალისწინებს საგანს - „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, სასურველი იქნება, თუ აღნიშნულ საგანს შეეცვლება სახელწოდება, ან პროგრამას დაემატება სავალდებულო საგნის სტატუსით „აკადემიური წერა იურისტებისათვის“. რადგან იურისტს უწევს სპეციფიურ დოკუმენტაციასთან მუშაობა და ამ მიმართულებით გამოცდილება მას დაეხმარება დასაქმების თვალსაზრისით. ასევე პროგრამას არჩევით კომპონენტად უნდა დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რატა დაინტერესებულ სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს პირველი ნაბიჯები გადადგას კვლევითი მიმართულებით მას ამის შესაძლებლობა უნდა

მიეცეს. ასევე იმ სტუდენტს, რომელიც გადაწყვეტს აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომი, მას არჩევით ნაწილში შესაძლებლობა უნდა მიეცეს აირჩიოს აკადემიური კვლევის კომპონენტიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- o თვითშეფასების ანგარიში
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი
- o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში.
- პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე.
- საგნები: „კრიმინოლოგია“, „კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და „გამომძიების საფუძვლები“ სავალდებულო ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ნაწილში.
- პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფრო მეტი, სხვადასხვა საფეხურის (A1; A2; B1; B2) უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რათა მარტივად შეძლოს პროფესიული უცხო ენის შესწავლა.
- რეპეტიტორიუმების მოდულის საგნების (საჯარო, ჯერძო და სისხლის სამართალი) კრედიტების მოცულობა შემცირდეს 7 კრედიტიდან 5 კრედიტამდე.
- პროგრამას არჩევით კომპონენტად უნდა დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი და ასევე აკადემიური კვლევის კომპონენტი.
- სასურველი იქნება, თუ საგანს: „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, შეეცვლება სახელწოდება, ან პროგრამას დაემატება სავალდებულო საგნის სტატუსით „აკადემიური წერა იურისტებისათვის“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები. პროგრამის მიხედვით, არჩევით ნაწილში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისი ინტერესების მიხედვით შესაბამისი დისციპლინა, ამას ხელს უწყობს პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი საგნების მრავალფეროვნება. პროგრამაში გათვალისწინებულ საგნებს (სავალდებულო, არჩევითი) მინიჭებული აქვს კრედიტები, გვხვდება 3, 4, 5, 6, 7 და 8 კრედიტიანი საგნები, უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტები გადანაწილებულია კონკრეტული საგნის მოცულობიდან გამომდინარე, რაც მისასაღებელია და შესაბამისობაში მოდის რეგულაციებთან.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ნაწილობრივ უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

საგანში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი

ლიტერატურის განახლება. სავალდებულო სახელმძღვანელოდ მითითებულია კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარი, რომელიც გამოიცა 2013 წელს, აღნიშნული სახელმძღვანელო მოძველებულია და არ ასახავს დღეს მოქმედ კონსტიტუციურ რეალობას, იგივე შეიძლება ითქვას მეორე სახელმძღვანელოზე, კერძოდ კ. კუბლაშვილის 2017 წელს გამოცემული წიგნი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამავე სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია აღებულია კონსტიტუციის ძველი რედაქციიდან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტები არ სწავლობენ დღეს მოქმედ ტექსტს.

საგანში „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელი განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რადგან ამ ნაწილში მითითებული მასალა ვერ უზრუნველყოფს საქართველოში შექმნილი რეალობის ასახვას და მოძველებულია.

„საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება.

საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია და ვერ ასახავს დღევანდელ სამართლებრივ რეალობას, საჭიროა მისი განახლება, ასევე უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში ვხვდებით საკითხების გადაფარვას. კერძოდ, მე-7 კვირას ისწავლება ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, დაცვის სფერო, ჩარევა და კონსტიტუციურ - სამართლებრივი გამართლება. აღნიშნული საკითხი მოცემულია ასევე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში, სტუდენტს უკვე ნასწავლი აქვს აღნიშნული საკითხები კონკრეტულ უფლებასთან მიმართებაში.

„ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსში ვხვდებით საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

o სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება. • „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან. • საგანში „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელი განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. • „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება. • საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას. • საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა. • „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსი გამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს სავალდებულო კომპონენტის სახით, 8 კრედიტის მოცულობით. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით. პრაქტიკული კომპონენტის მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა სტუდენტი გააგზავნოს პარტნიორ ორგანიზაციაში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმების სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმები არ ითვალისწინებს კონკრეტული ორგანიზაციის მიერ სავარაუდოდ მისაღები სტუდენტების რაოდენობას, რაც აუცილებლად საჭიროებს გამოსწორებას, რადგან დარგობრივი მახასიათელი განსაზღვრავს ამ ნაწილის სავალდებულოობას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ მიიღეს სწავლის პროცესში და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და საჯარო ლექციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება, ხარისხის სამსახური ახდენს მონიტორინგს, ასევე აქტივობებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტებისა და იმ ლექტორების გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინტერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ყველა აქტივობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o სამართლის საბაკალავრო პროგრამა

<ul style="list-style-type: none"> o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდოს პრაქტიკის გასავლელად მისაღების სტუდენტების რაოდენობა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული</p>

მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამ მეთოდების შერჩევა უმეტესწილად, კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებაში ხდება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულაციების დაცვის საფუძველზე, ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოყალიბებული სწავლა - სწავლების მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაწილობრივ ორიენტირებულია შეძლებისდაგვარად აქცენტი გააკეთოს პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა კონკურენტუნარიანი გახდეს შრომით ბაზარზე.

სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას ხდება შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება - სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოდის ბაკალავრიატის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- o სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით.

უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, შეფასების ნაწილს საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები: გამჭვირვალეობის პრინციპი; სისტემატურობის პრინციპი; სამართლიანობის პრინციპი; ოპტიმალურობის პრინციპი; დიფერენცირების პრინციპი და სანდოობის პრინციპი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამით შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია.

ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

მალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც იძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობას, რომელიც ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია, თუ შუალედური შეფასებების ჯამი 10% ზე მეტია.

საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი სილაბუსებში შეფასების ნაწილი ჩამოყალიბებულია ერთნირი ფორმით. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კონკრეტული აქტივობების შეფასებების ჯამი ცდება 100 ქულიან შეფასებას. ასევე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია მარტივად მოხდეს დაინტერესებული პირის მიერ შეფასების ნაწილის აღქმა, რაც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტისთვის სილაბუსის გაცნობის შემდეგ წინასწარ ნათლად ქონდეს ცამოყალიბებული შეხედულება თუ როგორ შეფასდება სემესტრის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს “გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის” სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების თაობაზე, ამასთან, ისინი იღებენ მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა “ნექსუსი”, რომლის საშუალებითაც წარმოებს სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, აკადემიური მასალისა და სილაბუსების განთავსება და მათთვის ელექტრონულად მიწოდება, მათ მიერ მიღებული შეფასებებისა და დაგროვილი კრედიტების შემოწმება. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წლის განმავლობაში კონტაქტი იქონიონ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტი სხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და

კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აქტიურად ხორციელდება კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა და “ნექსუსის” სისტემის მეშვეობით.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და იქ არსებული სასწავლო გარემოს შესახებ, აგრეთვე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის თაობაზე. გარდა ამისა, საკონსულტაციო პროცესში, მიზანშეწონილია, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის ჩართვა.

უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება სტუდენტების პოზიციებს, ინიციატივებს და ითვალისწინებს მათ პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებაში პერიოდულად ტარდება კვლევები, რა დროსაც კითხვარების შევსება ანონიმურია და ნებაყოფლობითი. რაც შეეხება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალის დატვირთვას, უნივერსიტეტში წინასწარაა დადგენილი საათები სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის, რომლებიც იმართება ლექტორებთან შეთანხმებით და აღნიშნულის თაობაზე სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია “ნექსუსის” მეშვეობით, თუმცა, როგორც სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, ისინი ამ მხრივ არ არიან შეზღუდულნი და ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს, არა წინასწარ დაგეგმილ საათებშიც.

გარდა აღნიშნულისა, სემესტრში ორჯერ დაწესებულია ე.წ. “რექტორის საათი”, რომლის ფარგლებშიც რექტორი ხვდება სტუდენტებს, აძლევს განმარტებებს უნივერსიტეტში სწავლის და სწავლების სპეციფიკის, შეფასების მეთოდების არსის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების და მათთვის საინტერესო სხვა თემების შესახებ. ამგვარი ფორმატით პერიოდულად ტარდება საკონსულტაციო საათები დეკანთან, ECTS კოორდინატორთან და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორთან, რომელიც აცნობს სტუდენტებს აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა “ნექსუსით” სარგებლობის წესებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი

სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე, თუმცა, სასურველია, სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ კომპონენტზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

ფაკულტეტი აქტიურად ცდილობს შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და მათთან ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენისა და პროფესიული ინგლისური ენის კურსები. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი, რომლის საქმიანობასაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში, ღონისძიებაში, კონფერენციასა და კვლევაში. ამ მიზნით კი, მიეწოდებათ ინფორმაცია ზემოაღნიშნული აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ. მაგ.: “Erasmus +”-ის მეშვეობით, უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა (სტუდენტების და პროფესორების გაცვლა) პარტნიორ უნივერსიტეტებთან, როგორებიცაა: ვებსტერის უნივერსიტეტი - საბერძნეთი, ვურცბურგის უნივერსიტეტი - გერმანია, ნანტის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საფრანგეთი, ევროპის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა - საფრანგეთი, პომერანის უნივერსიტეტი - პოლონეთი, პოტსდამის უნივერსიტეტი - გერმანია, ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯი - გერმანია, რენის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი - საფრანგეთი.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ამ მიზნით, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მათ შორის, საჯარო სამსახურებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შემდგომ პროფესიულ განვითარებას სტაჟირებების გავლისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების ჩატარების გზით.

სტუდენტური სერვისის ცენტრში გამოყოფილია დასაქმების კოორდინატორის საშტატო ერთეული, რომლის მიზანია ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას ადგილობრივ და უცხოეთის დაწესებულებებში,

დაეხმაროს მათ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაში და მოაწყოს ტრენინგები კარიერული განვითარების საკითხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სასწავლო საგნების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები, რომლებიც თეორიული სასწავლო პროცესის პარალელურად ასევე ახორციელებენ პრაქტიკულ საქმიანობასაც, რაც მისასაღმებელია, ვინაიდან სტუდენტათვის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 62 პროფესორ-მასწავლებელი. აქედან: 20 პროფესორი

(მათ შორის 18 აფილირებული), 19 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 15 აფილირებული), 3 ასისტენტ პროფესორი (მათ შორის ყველა აფილირებული), 48 მოწვეული პროფესორი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით შეადგენს 110/314, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით შეადგენს 56/314, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, დასახელებული თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო სამართლებრივი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულია დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ბოლო წლების განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურნი არიან. პერსონალის დიდ ნაწილს განხორციელებული აქვს სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- სასწავლო გეგმა;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წესდება საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- პერსონალის დატვირთვის სქემა;
- პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
- ვიზიტის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებელი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებელი იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 66, საერთაშორისო ჟურნალებში 24, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 34, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 39, სხვა სამეცნიერო /კვლევითი მაჩვენებლები 54.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად, შესაძლოა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართულ პირთა მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები მკვეთრად აღემატება საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს. სასურველია თუ ეს მაჩვენებელი შეიცვლება და აქცენტი გაკეთდება ნაშრომების საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნებაზე.

უსდ-ს აკადემიური პერსონალის განცხადებით უსდ უზრუნველყოფს მათი აკადემიური პროფესიონალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება შედეგი გარემოებები: უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ოდენობის ფულადი სახსრები, შესაძლოა რომელიმე ხარჯის ქვეშ მოიაზრება თუმცა ცალკე აღებულად ბიუჯეტში ეს ნაწილი არ არის გაწერილი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდის სახით ხარჯი, თუმცა შინაარსში ჩაშლილი არ არის, კონკრეტულად რა მიმართულებები იგულისხმება უნივერსიტეტის განვითარების ქვეშ.

აკადემიური/მოწვეული პერსონალს გამოყოფილი აქვს სპეციალური დრო სტუდენტთა კონსულტაციებისთვის.

ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების პერიოდულ ანალიზს, ამასთან სტუდენტების მხრიდან ასევე წარმოებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება უსდ-ს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

უნივერსიტეტში დაშვებულია საშტატო ერთეული პროექტების მენეჯერი, რომლის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებსა და პერსონალს საერთაშორისო და ადგილობრივი

პროექტების მოძიებაში.

ვიზიტის ფარგლებში, პერსონალის გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს აქვს მაქსიმალური ხელშეწყობა მისი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ასევე, დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან პროფესიული განვითარების მიზნით უმრავლესობას აქვს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რაც დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, როგორც პირადი საქმეებით, ისე მათთან ინტერვიუების პროცესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საკონსულტაციო გრაფიკი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სქემა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;

უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ირინა ენუქიძის #3 -ში (აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ) და ქალაქ ბათუმში, მახინჯაური, თამარ მეფის ქუჩა #60.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, თბილისში, ირინა ენუქიძის #3 - ში (აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ) მდებარე ფართი, (საკ კოდით 01.72.14.013.331) საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს“ ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ქალაქ ბათუმში, მახინჯაურში მდებარე ფართი, (საკ კოდით 05.34.23.131) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით 25 წლის ვადით გადაცემულია შპს „გრიგოლ

რობაქიდის სახელობის უნივერსიტეტისათვის“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილია:

- სასწავლო/სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიებით;
- პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართითა და ინვენტარით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვის ტექნიკური საშუალებებით;
- განახლებადი საკანონმდებლო ბაზებით;
- შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალებით;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და
- საკომუნიკაციო სისტემებით,

შენიშნავს სრულად პასუხობს ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიებით, ასევე შექმნილია სივრცე გუნდური მუშაობისათვის და მრგვალი მაგიდის ფორმატით სასწავლო შეხვედრების ორგანიზებისათვის, პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს აქვს აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კრიმინალისტიკის სწავლების და ექსპერტიზის ცენტრი, რომელიც აღჭურვილია კრიმინალისტიკური ტექნიკით, მიკროსკოპებით, რაც სტუდენტებს აძლევს დამატებით შესაძლებლობას დაეუფლონ გარკვეული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;

ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, ასევე ინდივიდუალური სამკითხველო კაბინები

<p>სამკითხველო დარბაზში, ისევე როგორც დისტანციურ ფორმატში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი მომხმარებლითა და პაროლით ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO, HeinOnline.</p> <p>ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.</p> <p>ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საკანონმდებლო აქტების კოდიფიცირებულ ვერსიებთან წვდომის მიზნით უნივერსიტეტს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესაგან შეძენილი აქვს 5 ავტორიზებული მომხმარებელი, ხოლო თითო მომხმარებლის მონაცემების გამოყენებით როგორც ავტორიზებულ მომხმარებელს ერთობლივად დაახლოებით 6 სტუდენტს, აქვს წვდომა საკანონმდებლო აქტებთან, აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა ითქვას, რომ ერთდროულად საკანონმდებლო მაცნის ავტორიზებული ბაზით შესაძლოა ისარგებლოს მხოლოდ 30 სტუდენტმა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • ინფრასტრუქტურის დათვალიერება zoom პლატფორმის გამოყენებით; • ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების დაუბრკოლებლივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლის საფასური შეადგენს 4700 ლარს.

პროგრამის ბიუჯეტი ძირითად ეფუძნება სწორედ სტუდენტთა მხრიდან სწავლის საფასურის სახით გადახდილ ფინანსურ სახსრებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი კონკრეტული ოდენობის ხარჯი, შესაძლოა მითითებული მიმართულებისათვის გამოყოფილი ფინანსური თანხა რომელიმე ხარჯის ქვეშ მოიაზრება თუმცა ცალკე აღებულად ბიუჯეტში ეს ნაწილი არ არის გაწერილი.


ბიუჯეტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდის სახით ხარჯი 30 000 ლარის ოდენობით, თუმცა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა უმრავლესობა ვერ შეძლებს სწავლის საფასურის გადახდას, შესაძლოა აღნიშნული სარეზერვო ფონდი არ აღმოჩნდეს საკმარისი ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების დაბალანსებისათვის.

ბიუჯეტი მოიცავს და ითვალისწინებს პროფესორ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, სასწავლო პრაქტიკისათვის ფინანსურ სახსრებს, პროგრამის უზრუნველსაყოფად საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებას, სასწავლო ტექნიკური ბაზის განვითარებას, საკანცელარიო, კომპიუტერული ტექნიკის ხარჯებს, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისათვის განკუთვნილ ხარჯებს, სტუდენტთა სოც.

<p>მხარდაჭერის, პრ. უზრუნველყოფის, სტ. სტიპენდიებს, წახალისებებს, სპორტულ, კულტურულ გასართობ ღონისძიებებსა და უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდის სახით გასაღებ ხარჯს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემატურ მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებს. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“-ს შესახებ აქტი აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლის (PCDA) პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, მასში გათვალისწინებულია თითოეული ციკლის ფარგლებში შესასრულებელი მიმართულებები.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათი გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით.</p> <p>ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის</p>

შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის მართვის რეგლამენტი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო ქართველმა ექსპერტმა, რომლის მიერ დაწერილი დასკვნის საფუძველზე პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს და შეფასებულია უმაღლესი ქულებით.

თვითშეფასების, მის თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იყენებს ადეკვატურ მექანიზმებს და ინსტრუმენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასების აქტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ.

შიდა შეფასების შედეგები განიხილება პროგრამის და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტების ერთობლივ სხომაზე. პროგრამის კომიტეტი პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის და წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

აღსანიშნავია რომ საბაკალავრო პროგრამის შინაარსის განვითარების მიზნით განხორციელდა ხარისხის გარე შეფასება. ასევე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დადარებულია კორუნის უნივერსიტეტის (ესპანეთი),

<p>მაასტრიხტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო), პოტსდამის უნივერსიტეტის (გერმანია) ანალოგიურ საბაკალავრო პროგრამებთან.</p> <p>უნივერსიტეტი გეგმის მიხედვით ახორციელებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხის კვლევას, სასწავლო მოდულების და მისი წამყვანი პერსონალის შეფასებას სტუდენტთა მხრიდან, აანალიზებს ამ ფორმით მიღებულ შეფასებებს პროგრამის შედეგების სრულყოფის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით. უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსური კვლევის შედეგები; • შრომის ბაზრის კვლევა; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; • უცხოური უნივერსიტეტის პროგრამებთან დადარების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>


შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				


თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვახტანგ ჟვანია



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაკა კარტოზია



ანა გორდუზიანი



ნინო ხუბულია

